საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/122 „7" ნოემბერი 2022 წ.

# განკარგულება

**თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გ. უბილავას სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ**

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გიზო უბილავამ 2022 წლის 4 ნოემბერს განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში გადაყვანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გიზო უბილავა გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2022 წლის 10 ნოემბრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი<br>საქართველოს იუსტიციის<br>უმაღლესი საბჭოს მდივანი